

ბანკის ვებგვერდზე <https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/card-payments> განთავსებული “ელექტრონული კომერციის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ძირითადი პირობების” 1.4. პუნქტის შესაბამისად, სს “თიბისი ბანკი” გათვალისწინებულ “ელექტრონული კომერციის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში” (შემდგომში “სტანდარტული პირობები”) შემდეგი ცვლილებების / დამატებების შეტანას:

1. სტანდარტული პირობების 1.1. პუნქტს დაემატოს ტერმინი „პრეავტორიზაცია“ შემდეგი რედაქციით:

პრეავტორიზაცია - გარიგების თანხის დროებითი დაბლოკვა, რასაც უნდა მოყვეს კომპანიის მიერ დაბლოკილი თანხის სრულად ან ნაწილობრივ დადასტურების (კომიტის) ან კლიენტისთვის დაბრუნების ოპერაცია. დაბლოკვიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში კომპანიის მიერ კომიტის განუხორციელებლობის ან კლიენტისათვის გარიგების თანხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, ავტომატურად განხორციელდება გარიგების თანხის განბლოკვა.

2. სტანდარტული პირობების 2.2. პუნქტს დაემატოს 2.2.12. ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

2.2.12. კომპანიის მიერ კომიტის გარიგების თანხის დაბლოკვიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის შემდგომ განხორციელების შემთხვევაში, კომპანიის ანგარიშ(ებ)იდან უაქცეპტო წესით ჩამოწეროს კომპანიის მიერ დაგვიანებით დადასტურებული გარიგების თანხა.

3. სტანდარტული პირობების 3.1. პუნქტს დაემატოს 3.1.20. ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

3.1.20. განახორციელოს კომიტი გარიგების თანხის დაბლოკვიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა.